პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

16 ივნისი პარასკევი 1972

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 140 (15353)

სესიის დარბაზიდან

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია. სურათებზე: ზემოთ — დეპუტატები ხმას აძლევენ კანონებს; ქვემოთ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები (მარცხნიდან): მაიაკოვსკის რაიონის სოფელ საკრაულას კოლმეურნეობის მეაბრეშუმე ლ. მასხარაშვილი, ტყიბულის ქვანახშირის ლენინის სახელობის შახტის მნგრეველი ა. ლაფერაძე, გორის რაიონის სოფელ კარბის კოლმეურნეობის მეკარტოფილე ბ. მესირიანელი, ბორჯომის № 1 ნამომსხმელი ქარხნის ნამომსხმელი მ. ხარაზიშვილი.

ვ. ბინნბურგის ფოტო.

აღამიანთა ჯანმრთელობის დაცვა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მესამე—საბოლოო სხდომა

საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია 15 ივნისს მუშაობას განაგრძობდა. დიღის 10 საათზე დაიწყო სესიის მესამე — საბოლოო სხდომა.

თავმჯდომარეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე.

სესია შეუდგა დღის წესრიგის მეორე საკითხის განხილვას. დეპუტატმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ვ. ბ. ბელბასოვის მოხსენება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტის შესახებ".

მოხსენებების გამო გაიმართა კამათი. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები შ. ბ. ბოჭორიშვილი (ლენინის საარჩევნო ოლქი, ლენინის რაიონი), ლ. ა. ხუციშვილი (შუახევის საარჩევნო ოლქი, შუახევის რაიონი), ა. ვ. ლაშვრანტი (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. ტყიბული), ს. ა. ჩერკეზიშვილი (ახალსოფლის საარჩევნო ოლქი, ადიგენის რაიონი).

ამ სესიაზე ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა საკითხის განხილვა, აღნიშნეს დეპუტატებმა, ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს დაუცხრომელ ზრუნვას ადამიანთა ჯანმრთელობისათვის, მათი კეთილდღეობისათვის.

სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავს დიდძალ სახსრებს ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებისათვის. ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების, შესაბამის პროფილაქტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საბჭოთა ადამიანების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. შემცირდა მოსახლეობის ავადობა. აღმოფხვრილია ბევრი ინფექციური დაავადება. მედიცინის მუშაკთა დიდი არმია კეთილსინდისიერად, თავდადებულად ეწევა თავის კეთილშობილურ სამსახურს. მაგრამ ამასთან ერთად მოიყვანეს მაგალითები, როცა მედიცინის ცალკეული მუშაკები, „რენენ გულგრილობას ავადმყოფებისადმი, ცუდად ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას.

აღინიშნა, რომ ჯანმრთელობის დაცვის განვითარებაში საერთო დიდ წარმატებებთან ერთად ჯერ-ჯერობით გამოყენებული არ არის ყველა არსებული შესაძლებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და განმტკიცებისათვის.

დაახასიათეს რა მიღწეული წარმატებანი, დეპუტატებმა შეიტანეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიზანია ჯანმრთელობის დაცვის დონის შემდგომი ამაღლება.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სოფლად სამედიცინო სამსახურის მდგომარეობას. დეპუტატებმა აღძრეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასთან და განვითარებასთან, და აღნიშნეს, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არის ახალი სამედიცინო დაწესებულებების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადების დარღვევის შემთხვევები.

სესიაზე აღინიშნა, რომ სკკპ XXIV კრებამ დასახა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები ჯანმრთელობის დაცვისა და მედიცინის მეცნიერების განვითარების, საბჭოთა ადამიანების სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლების დარგში. როგორც დეპუტატებმა აღნიშნეს, სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის მიღება დიდმნიშვნელოვანი წვლილი იქნება ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საქმეში. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი დებულებები, რეგლამენტირებულია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ფუნქციები, სამედიცინო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. წარმოდგენილ კანონპროექტში უსუსტად განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის განვითარების პროფილაქტიკური მიმართულება; მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დიდათა და ბავშვთა დაცვის, გაუჭიანობისაგან გარემოს დაცვის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

კამათში გამოსულმა ყველა ორატორმა რწმენა გამოთქვა, რომ ექიმები და მედიცინის მუშაკები ყველაფერს იღონებენ, რათა წარმატებით განახორციელონ ჯანმრთელობის დაცვის ახალი კოდექსი, პირნათლად შესრულონ მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ამით კამათი მთავრდება.

დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ".

უმაღლესი საბჭო იწყებს დღის წესრიგის შემდეგი საკითხის განხილვას. დეპუტატებმა მოისმინეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. დ. ბერიძის საანგარიშო მოხსენება ამ კომისიის საქმიანობის შესახებ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ძ. ი ქავშარაძემ (ლენინგორის საარჩევნო ოლქი, ლენინგორის რაიონი), შ. ძ. ჩაჩუბავამ (ვარკეთილის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ა. ვ. ფეიფიშვილმ (ლენინის საარჩევნო ოლქი, ხაშურის რაიონი).

ამ საკითხის განხილვის მონაწილეებ დეპუტატებმა აღნიშნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის პერიოდში საქმიანობის დადებითი შედეგები. კომისიის მთელი მუშაობა ექვემდებარებოდა მთავარ მიზანს — ხელს უწყობდეს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარების დარგში მეცხრე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებას. კომისიის სხდომებზე განსახილველი აქტუალური საკითხების შესწავლაში ფართოდ მონაწილეობდა აქტივი სახალხო მეურნეობის ამ დარგის სპეციალისტთაგან. კომისიის მიერ მიღებულმა დასაბუთებულმა რეკომენდაციებმა ხელი შეუწყეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საწარმოო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტას.

მაგრამ, როგორც აღნიშნეს დეპუტატებმა, კომისიის რეკომენდაციებს მუდამ ჯეროვანი ყურადღებით როდი ეკიდებიან, მუდამ როდი ასრულებენ ოპერატიულად. გაითვალისწინეს რა მშრომელთა მუდმივი პრეტენზიები კავშირგაბმულობის საწარმოებისადმი, განსაკუთრებით სატელეფონო ქსელისადმი, დეპუტატებმა სურვილი გამოთქვეს, რომ კომისიამ მეტი ინიციატივა გამოიჩინოს იმ მიზეზების შესწავლაში, რომლებიც ხელს უშლიან კავშირგაბმულობის საშუალებათა ნორმალურ მუშაობას, რომ კიდევ უფრო აქტიურად შეუწყოს ხელი ამ მიზეზების აღმოფხვრას.

შემოვიდა წინადადება შეწყდეს კამათი ამ საკითხის გამო.

უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივი კომისიის მუშაობის შესახებ".

შემდეგ დღის წესრიგის მეოთხე პუნქტის გამო „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ" მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა დეპუტატმა ზ. ა. კპაპაძემ. მან განაცხადა, რომ წინა სესიის შემდეგ გასულ პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო ბრძანებულებანი, რომლებიც საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად უნდა დამტკიცოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ. მოხსენებულმა დასაბუთა ამ ბრძანებულებათა მიღების აუცილებლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი და მიიღო შესაბამისი კანონები და დადგენილებანი.

სესიამ განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიათა შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების საკითხი.

სესიის მუშაობის დღის წესრიგი ამოიწურა. საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია დახურულად ცხადდება. (საქინფორმი).

ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის გეგმის შესრულება 1972 წლის 12 ივნისისათვის

კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში (ტონობით)

მოკრეფილია მანქანებით

	წლიური გეგმა	ფაქტიური შესრულება	პროცენტი	იგივე 1971 წლის ამავე თარიღისა-თვის
აფხაზეთის ასსრ	7570	1375	18	1589
ბალის	4560	847	19	1002
ოჩამჩირის	2500	898	16	444
გუდაუთის	40	109	27	112
გულრიფშის	100	23	23	28
სოხუმის	10	3	30	3
აჭარის ასსრ	1880	614	33	608
ქობულეთის	1880	614	33	608
მახარაძის	3430	1367	40	1158
ზუგდიდის	8180	2725	33	2522
ფალიასურის	3200	886	28	1055
გეგეჭკორის	840	140	17	148
ლანჩხუთის	90	22	24	30
ჩხოროწყუს	980	71	7	190
ოზურგეთის	300	79	26	86
წყალტუბოს	570	127	22	146
ცხაკაიას	380	76	20	75
წულუკიძის	550	115	21	185
ხობის	500	129	26	171
სამტრედიის	180	39	22	50
ს უ ლ	28650	7765	27	8018

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა, როგორც ეს ზემომოყვანილი ცნობიდან ჩანს, ჯეროვანი ტემპით არ მიმდინარეობს. 12 ივნისისათვის გასული წლის ამ თარიღთან შედარებით მანქანებით მოკრეფილია 248 ტონით ნაკლები ფოთლი. რაიონებში, სადაც კარგად აწყობენ მუშაობა ჩაის საკრეფმა მანქანებმა და შეიბრძნა გაიჩალეს მექანიზატორებმა, ჩაის კრეფა პლანტაციებში უსწრებს გრაფიკს. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის მექანიზებული კრეფა მახარაძის, ზუგდიდის, ქობულეთის, ცხაკაიას, რაიონების კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებში.

მანქანებით ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის შესრულების დაბალი მაჩვენებლებია ჩხოროწყუს, წულუკიძის, ხობის, გეგეჭკორის, ჩობატაურის, წყალტუბოს, გალის, ოჩამჩირის, გუდაუთის, გულრიფშისა და სხვა რაიონების მეურნეობებში.

დადგა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი დღეები. განვლილი წლებიდან გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ დღეებში წყდება ჩაის ფოთლის კრეფის, განსაკუთრებით მექანიზებული კრეფის წარმატება. უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი გაცდენილი დღე საფრთხეს უქმნის გეგმის შესრულებას.

მეჩაიეობის რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმაროონ, რომ წარმატებით შესრულონ ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფის დავალებანი. (საქინფორმი).



ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

ბბნიხილა რა საკითხი ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საჭიროდ ცნო ქვეყანაში სპირტიანი სასმელების მოხმარების შემცირების მიზნით 1972-1975 წლებში განახორციელოს არყისა და მაგარი არყის ნაწარმის ჯამრთელობის შემცირების ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად გაფართოოს უალკოჰოლო სასმელების წარმოება, რათა საუნიტიონ უზრუნველყოს ამ სასმელებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაიდგინონ წლიური გეგმებში გაითვალისწინონ მაგარი სპირტიანი სასმელების წარმოებისა და მოხმარების შემცირების და ყურძნის ღვინისა და ლუდის გამოშვების მნიშვნელოვანი გადიდების უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობაში წესრიგის დამყარებისა და მოსახლეობისათვის მათი მიყიდვის შემცირების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზსა და სხვა სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც ეწევიან ამ ამოცანის წარმატებით შესრულების საქმეში. ამ დოკუმენტში ჩამოყალიბებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი დებულებები, რეგლამენტირებულია ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა ფუნქციები, სამედიცინო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამოცანები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. წარმოდგენილ კანონპროექტში უსუსტად განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის განვითარების პროფილაქტიკური მიმართულება; მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა დიდათა და ბავშვთა დაცვის, გაუჭიანობისაგან

ა) განიხილონ ალკოჰოლიანი სასმელების მაღაზიების რიცხვის შემცირების საკითხი, აკრძალონ აზ სასმელებით ვაჭრობა წვრილ საცალო ვაჭრო ქსელში, ყველა სასადილოსა და ბუფეტში, აგრეთვე სპეციალიზებულ სასურსათო მაღაზიებში ხილ-ბოსტნეულის, თევზისა და კონსერვის სპეციალიზებული მაღაზიების გარდა, რომლებშიც შეიძლება შამპანურის, ყურძნის, ხილ-კენკრის ღვინისა და 30 პროცენტამდე სიმაგრის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა;

ბ) აკრძალონ 30 და მეტი პროცენტი სიმაგრის არყისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა სავაჭრო საწარმოებში, რომლებიც ეწევიან ფეიერვერკებისა და მშენებლობების, სასწავლებლების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, ვაგზლების, ნავმისადგომებისა და აეროპორტების, კულტურული და სანახაობითი საწარმოების რაიონში, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი სეირნობისა და დასვენების ადგილებში.

დადგენილია, რომ 30 და მეტი პროცენტი სიმაგრის არყისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა შეიძლება საცალო სავაჭრო ქსელში არაუადრეს დილის 11 საათისა და არაუგვიანეს სარამის 19 საათისა.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაეკალათ განიხილონ 30 და მეტი პროცენტი სიმაგრის არყისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა სავაჭრო საწარმოებში, რომლებიც ეწევიან ფეიერვერკებისა და მშენებლობების, სასწავლებლების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, ვაგზლების, ნავმისადგომებისა და აეროპორტების, კულტურული და სანახაობითი საწარმოების რაიონში, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი სეირნობისა და დასვენების ადგილებში.

ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის წესები (მათი დარღვევისათვის პასუხისმგებლობის ღონისძიებათა მითითებით) გამოკრული უნდა იყოს თვალსაჩინო ადგილას ყველა საწარმოში, სადაც ეს სასმელები იყიდება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზსა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს, რომლებსაც სავაჭრო ქსელი აქვთ, მკაცრად მოსთხოვონ პასუხი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკებს ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის დადგენილი წესის დარღვევისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, ცენტროსოიუზსა და სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დაეკალათ განახორციელონ ღონისძიებანი ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების იმ საწარმოთა ქსელის გასაფართოებლად, რომლებიც ჩამოსასმელ ღუდს, წვენებსა და სხვა უალკოჰოლო სასმელებს ყიდიან, აგრეთვე განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი კაფეების, სასაუზმეების, რესტორნების, სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მუშაობაში კულტურის ასამაღლებლად.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს დაეკალა შეწყვეტოს მოსახლეობისათვის მისაყიდად 50 პროცენტი და 56 პროცენტი სპირტის შემცველი არყის, აგრეთვე 0,1 და 0,05 ლიტრად დაფასოებული არყისა და მაგარი არყის ნაწარმის გამოშვება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს: შეიმუშაონ და განახორციელონ ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულთა გამოვლინების, აღრიცხვისა და მკურნალობის გაუმჯობესების საკრო ღონისძიებანი; გაადგრთოონ მეცნიერული კვლევა ასეთ ავადმყოფთა მკურნალობის ეფექტიანი საშუალებებისა და მეთოდების გამოსაძებნად.

სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და სხვა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მყოფი პირნი, რომლებიც დაარღვევენ ექიმების დარიგებას ალკოჰოლიანი სასმელების მხარების აკრძალვის შესახებ, უნდა გაწერონ ამ დაწესებულებებიდან საგზურების გამოუყენებელი დღეების ღირებულების აუნაზღაურებლად და აუცილებლად შეატყობინონ ეს მათი მუშაობის ადგილზე.

დაწესდა, რომ სიმთვრალით ან სიმთვრალესთან დაკავშირებული მოქმედებით, აგრეთვე ზედმეტი ალკოჰოლის გამოყენებით გამოწვეული ავადმყოფობის დროს (ტრავმა, ალკოჰოლური ფსიქოზი, თეთრი ცხელება, ქრონიკული ალკოჰოლიზმი) საავადმყოფო ფურცლები ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დროს არ გაიცემა და დახმარება დროებითი შრომისუუნარობის გამო არ მიეცემათ.

ხუთწლედი—ვაჭრობა

გეგმა და რიგმი—ყოველდღე!

რეალიზაციაც, მოგებაც

ქუთაისი. („კომუნისტის" კორ.). სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში რომ ჩაება, ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წლის გეგმა 26 დეკემბრისათვის შესრულოს. ქიმიკოსები ენერგიულად შრომობენ დანაპირების გასაგდებისათვის. ქარხანამ, რომელიც ურეკლამაციოდ მუშაობს, პროდუქციის რეალიზაციის ხუთი თვის გეგმა 101,3 პროცენტით შეასრულა, დავალებას 149 ათასი მანეთით გადაჭარბა და დიდი მოგება მიიღო.

საწარმოს კოლექტივმა პროდუქციის გამოშვების დავალებას მთელი ძირითადი ნომენკლატურის მიხედვით გადაჭარბა. გეგმის გადამეტებით მომხმარებელმა 36 ტონა ლითოფონი, 113 ტონა ზაბიაშანი, 9 ტონა სრესილი საფეხი და სხვა ძვირფასი პროდუქცია მიიღო.

ზრდიან შრომის ნაყოფიერებას

რუსთავი. (საკ. კორ.). მალალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევს ტრუსტ „ცენტრდომნაგრომონტაჟის" რუსთავის სარემონტო ბაზმმართველოს კოლექტივი. (უფროსი ნ. ბაიხურაძე). მერემონტაჟებმა 100,8 პროცენტით შეასრულეს საამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ხუთი თვის დავალება. გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 4,4 პროცენტით, თვითღირებულება შემცირებულია 2,1 პროცენტით. საამართველოს რაციონალიზატორებმა წელს წარმოებაში დანერგეს 15 რაციონალიზატორული წინადადება, რითაც დაზოგეს 35 ათასი მანეთი, ამ დღეებში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის კოლექტივს ტრუსტ „ცენტრდომნარემონტის" გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

გეგმის გაძლიერებით

თბილისი. შეუფერხებლად მოვამზადოთ მოსახლეობა მცენარეული ცხიმებით. ამ დევიზით შრომობს ხუთწლედის მეორე წელს ცხიმკომბინატის კოლექტივი. აქ დაპირებას პირნათლად ასრულებენ. საერთო პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა 101,4 პროცენტით გაანაღდეს, რეალიზაციის დავალებას 74 ათასი მანეთით გადაჭარბეს. მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 63 ტონა მარგარინი და 6 ტონა დაფასოებული ზეთი მიაწოდეს.

მოწყობილობის მაქსიმალურად გამოყენების შედეგად გეგმასთან შედარებით შრომის ნაყოფიერება ოთხ თვეში 1,2 პროცენტით აამაღლეს. ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 4 ათასი მანეთით შეამცირეს.

შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ჰიდრონიზაციისა და რაფინაციის საამქროების უფროსი ოსტატები თ. ჭავჭანიძე და ზ. სანდარაშვილი, მუშები — უ. ბილანიშვილი და პ. კოსტრიგინი.

შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). რიტმულად, რენტაბელურად მუშაობს მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკის კოლექტივი, რომელიც ხშირად გამოდის გამარჯვებული რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება. აღსანიშნავია, რომ გეგმა სრულდება ყველა ასორტიმენტის მიხედვით. მარელისელები მშრომელებს არ აკლებენ გრეხილ ნახევრად რბილ და საბავშვო სკამებს, მაგიდებს, ტანსაცმლის საკიდებს და სხვ.

სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მღუნავი, მექანიკური, სადურგლო და ამწყობი საამქროების კოლექტივები.

პირველ სექტემბრამდე შევასრულოთ ვალდებულება

მახარაძის რაიონის მელექედურის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის მეჩაიეთა ინიციატივა

მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად საქართველოს მეჩაიეები ჩაბმული არიან სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვეტილი აქვთ მეცხრე ხუთწლედის მეორე წელს ქვეყანას მიხცენ 260 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ახალი წარმატებებით შეხვდნენ სსრ კავშირის შექმნის 50-ე წლისთავს.

ამას წინათ, კრეფის სეზონის დაწყების პირველ დღეებში, ჩვენი კოლმეურნეობის ყველა ბრიგადაში მეჩაიეებმა წინადადება წამოაყენეს, რომ პირველ სექტემბრამდე შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ რიცხვისათვის კოლმეურნეობამ მოკრიფოს 1.500 ტონა ფოთოლი ნაცვლად 1.346 ტონისა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ნედლეულის ხარისხს.

ჩვენი ბრიგადა, რომელიც კომუნისტური შრომის სატიტო სახელს ატარებს, სიტყვას იძლევა მოკრიფოს და ფაბრიკას გადასამუშავებლად ჩააბაროს 205 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 145 ტონისა. აქედან 15 ჰექტარი სარწყავი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოკრიფოს 9 ტონა „მწვანე ოქრო", საერთოდ ბრიგადისათვის მიჩენილ 25,8 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 8 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეული, ამასთან მოკრეფილი ფოთლის 75-80 პროცენტი პირველი ხარისხისა იყოს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეთა ბრიგადები მხარს დაუჭერენ ჩვენს თაოსნობას, უფრო ფართოდ გააჩაღებენ მიმდინარე საიუბილეო წელს სოციალისტურ შეჯიბრებას და ამით ღირსეულ წვლილს შეიტანენ საქართველოს მეჩაიეთა ლაშქრობაში 260 ათასი ტონა ჩაისათვის.

მახარაძის რაიონის მელექედურის ი. ბ. სტალინის სახელობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ე. ჩიგოგიძე, წევრები: ნ. ღლონტი, თ. ცხოგელიძე, ნ. ლოგოთაძე, თინა, მერი, ლაპრო ღლონტები, შურა, ციალა, ჯემალ, ქეთო, ეთერ, ლენა თოხაძეები, მადონა, ცუცა, ნაზი, ვალერიან ტოროტაძეები.

აზიელი და აფრიკელი სტუმრები

15 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის, ცეილონის, გამბიის, სიერა-ლეონეს, ზამბიისა და ნიგერიის პროფკავშირების 26 ხელმძღვანელი მოღვაწე და აქტივისტი. ყველანი საკავშირო პროფსაბჭოს პროფკავშირული მოძრაობის უმაღლესი სკოლის მსმენელები არიან.

ჩამოსვლის დღეს საზღვარგარეთის პროფკავშირების წარმომადგენლები მიიღეს საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურ საბჭოში. პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცინაგამ მათ გააცნო რესპუბლიკის ეკონომიკა, მეცნიერება და კულტურა, პროფკავშირების როლი საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანების გადაწყვეტაში.

აზიელი და აფრიკელი პროფკავშირული მოღვაწენი ეწვევიან საბრეწველო საწარმოებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, გაეცნობიან პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. (საქინფორმი).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ჰ. გ. გელბახიანის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო განიხილავს პროექტს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონისა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ იმ პერიოდში, როცა მთელი საბჭოთა ხალხი დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აბრიცულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

საქართველოს მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი ენთუზიაზმით ემზადებიან სსრ კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნოვანი იუბილეისთვის. ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს დიდი დღესასწაულისათვის. მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია თავდადებით მრომობენ, რათა ახალი წარმატებებით შეხვდნენ ამ დიდ თარიღს და შესრულონ მეცხრე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმები.

საბჭოთა ადამიანები სამართლიანად ამაყობენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებით, რომლებიც მოპოვებულია კომუნისტური მშენებლობის ყოველ უბანზე, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი თქმამრის რევოლუციის გარიჟრაჟზე ვ. ი. ლენინმა ჩაუყარა საფუძველი.

საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გადიდება პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანს შეადგენს".

საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობისათვის პარტიისა და სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის გამოვლინება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ჯანმრთელობის დაცვის საკითხის განხილვა და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სსრ კავშირში ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

სსრ კავშირში ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი აღმავლობის, შრომისა და საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესების, ფართო გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად დიდი წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში.

საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ერთიორად და მეტად გაიზარდა საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მკვეთრად შემცირდა ავადობა.

აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია მივიყვანოთ მაგალითები ჩვენი რესპუბლიკიდან. სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს 600-მდე საავადმყოფო 43.400 საწოლით, 47 სამშობიაროსა სახლი, 1.450 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 73 სასწრაფო სამედიცინო სადგური, 350 კლინიკურ-დიაგნოსტიკური, სოლო 140 ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური ლაბორატორია, 97 სანიტარულ ეპიდემიოლოგიური სადგური, 587 აფთიაქი, 83 სანატორიუმი, 43 დასასვენებელი სახლი, 42 პანსიონატი და სხვა მრავალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

ჩვენში სამედიცინო, სასწავლო-აღმშრდელობით და სამეცნიერო მუშაობას ეწევა 22 სამეცნიერო-საკვლევი, 2 უმაღლესი და 17 საშუალო სამედიცინო სასწავლებელი. რესპუბლიკაში მუშაობს 17.400 ექიმი და 60 ათასი კაცი ხაშუალო სამედიცინო პერსონალისა.

ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამად 2.000-მდე მეცნიერი მუშაკია, მათ შორის მოღვაწეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის მეფიზიკოს მეცნიერებათა აკადემიის 17 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, 272 მეცნიერებათა დოქტორი და 980 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. ამ მონაცემების შედარებაც კი არ შეიძლება რევოლუციამდელ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობასთან.

მაგალითად, 1920 წლისათვის მთელ საქართველოში ექიმთა რაოდენობა 300-ს აღწევდა. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი კი ყოველწლიურად ორჯერ უფრო მეტ ექიმს უშობდებს ჩვენს ქვეყანას.

ამჟამად დიდი პერსპექტივებია დასახული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 43 სამედიცინო ობიექტი. აქედან 20 საავადმყოფო 2.298 საწოლით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1.200-საწოლიანი და ბავშვთა 300-საწოლიანი საავადმყოფოები თბილისში, მახარაძის რაიონში — 500-საწოლიანი, ზუგდიდში — 400-საწოლიანი, ცხინვალში — 300-საწოლიანი, ბორჯომის, გუდაუთის, სიღნაღის 240-საწოლიანი საავადმყოფოები და სხვ.

გათვალისწინებულია 69 საავადმყოფოს აშენება 4.910 საწოლით. დაიწყება რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ხანგიდსაღებურების შენობათა მშენებლობა, გაიხსნება 25 ახალი აფთიაქი და „მედტექნიკის" სპეციალიზებული მაღაზიები და სხვ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება მოზარდთა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების შემდეგომი გაუმჯობესებისა და სამედიცინო მეცნიერების განვითარების ღონისძიებათა შესახებ".

სსრ კავშირში ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუწყვეტელი აღმავლობის, შრომისა და საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესების, ფართო გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელების შედეგად დიდი წარმატებებია მოპოვებული მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში.

საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ერთიორად და მეტად გაიზარდა საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, მკვეთრად შემცირდა ავადობა.

აღნიშნულის დასადასტურებლად საკმარისია მივიყვანოთ მაგალითები ჩვენი რესპუბლიკიდან. სადღეისოდ საქართველოში მოქმედებს 600-მდე საავადმყოფო 43.400 საწოლით, 47 სამშობიაროს სახლი, 1.450 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 73 სასწრაფო სამედიცინო სადგური, 350 კლინიკურ-დიაგნოსტიკური, სოლო 140 ბაქტერიოლოგიური და სეროლოგიური ლაბორატორია, 97 სანიტარულ ეპიდემიოლოგიური სადგური, 587 აფთიაქი, 83 სანატორიუმი, 43 დასასვენებელი სახლი, 42 პანსიონატი და სხვა მრავალი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულება.

ჩვენში სამედიცინო, სასწავლო-აღმშრდელობით და სამეცნიერო მუშაობას ეწევა 22 სამეცნიერო-საკვლევი, 2 უმაღლესი და 17 საშუალო სამედიცინო სასწავლებელი. რესპუბლიკაში მუშაობს 17.400 ექიმი და 60 ათასი კაცი ხაშუალო სამედიცინო პერსონალისა.

ჩვენს სამედიცინო დაწესებულებებში ამჟამად 2.000-მდე მეცნიერი მუშაკია, მათ შორის მოღვაწეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და სსრ კავშირის მეფიზიკოს მეცნიერებათა აკადემიის 17 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, 272 მეცნიერებათა დოქტორი და 980 მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი. ამ მონაცემების შედარებაც კი არ შეიძლება რევოლუციამდელ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობასთან.

მაგალითად, 1920 წლისათვის მთელ საქართველოში ექიმთა რაოდენობა 300-ს აღწევდა. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი კი ყოველწლიურად ორჯერ უფრო მეტ ექიმს უშობდებს ჩვენს ქვეყანას.

ამჟამად დიდი პერსპექტივებია დასახული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების საქმეში, მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად ჩვენს რესპუბლიკაში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 43 სამედიცინო ობიექტი. აქედან 20 საავადმყოფო 2.298 საწოლით. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია 1.200-საწოლიანი და ბავშვთა 300-საწოლიანი საავადმყოფოები თბილისში, მახარაძის რაიონში — 500-საწოლიანი, ზუგდიდში — 400-საწოლიანი, ცხინვალში — 300-საწოლიანი, ბორჯომის, გუდაუთის, სიღნაღის 240-საწოლიანი საავადმყოფოები და სხვ.

გათვალისწინებულია 69 საავადმყოფოს აშენება 4.910 საწოლით. დაიწყება რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ხანგიდსაღებურების შენობათა მშენებლობა, გაიხსნება 25 ახალი აფთიაქი და „მედტექნიკის" სპეციალიზებული მაღაზიები და სხვ.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდება მოზარდთა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური მომსახურების შემდეგომი გაუმჯობესებისა, ქვეყნის სანატორიულ-ეპიდემიური კეთილდღეობის უზრუნველყოფას, მოქალაქეთა უფლებამოსილების გარანტიების განმტკიცებას.

კანონმდებლობამ ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხელი უნდა შეუწყოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას. სწორედ ამით იყო განპირობებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამ დარგში ჯერ კიდევ არ იყო კოდიფიცირებული. არსებობდა მრავალი სამართლებრივი აქტი, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და მათი გამოყენება გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა.

გაითვალისწინეს რა ჯანმრთელობის დაცვის მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიებმა საკანონმდებლო განხილულობათა კომისიებთან ერთად, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშავეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

პრესაში ამ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის გამოქვეყნებამ, მისმა განხილვამ მშრომელთა კოლექტივებში საზოგადოების ფართო გამოხმაურება გამოიწვია და ერთხელ კიდევ დაგვანახვა ჩვენი ყოფიერების ღრმა დემოკრატიზმი, მშრომელთა ნაწილის უდიდესი დაინტერესება სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტით, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აქტივობისა და მართლმეგნების მაღალი დონე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები მიღებულ იქნა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ კანონისა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შემუშავებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად და მასში მოცემულია დებულებები, რომლებიც რესპუბლიკის კომპეტენციას მიეკუთვნება.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის პროექტი განიხილეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განხრახულობათა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიებმა ჯერ ცალ-ცალკე, ხოლო შემდეგ გაერთიანებულ სხდომაზე. კანონის პროექტი განსახილველად დაგზავნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, დაინტერესებულ უწყებებს და დაწესებულებებს, სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებს, მეცნიერებს.

ხვა მიბოძეთ დავახასიათო წარმოდგენილი კანონპროექტის ძირითადი დებულებანი.

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის პროექტი პრეამბულის, 9 კარისა და 84 მუხლისაგან შედგება.

პირველ კარში განსაზღვრულია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის ხორციელებას, ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საქმის შემდგომ გაუმჯობესებას. სწორედ ამით იყო განპირობებული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მოქმედი კანონმდებლობა ამ დარგში ჯერ კიდევ არ იყო კოდიფიცირებული. არსებობდა მრავალი სამართლებრივი აქტი, რომლებიც ზოგჯერ ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა და მათი გამოყენება გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა.

გაითვალისწინეს რა ჯანმრთელობის დაცვის მოქმედი კანონმდებლობის სრულყოფის საჭიროება, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიებმა საკანონმდებლო განხრახულობათა კომისიებთან ერთად, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშავეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

ამ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის გამოქვეყნებამ, მისმა განხილვამ მშრომელთა კოლექტივებში საზოგადოების ფართო გამოხმაურება გამოიწვია და ერთხელ კიდევ დაგვანახვა ჩვენი ყოფიერების ღრმა დემოკრატიზმი, მშრომელთა ნაწილის უდიდესი დაინტერესება სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტით, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აქტივობისა და მართლმეგნების მაღალი დონე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლები მიღებულ იქნა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე.

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენს განსახილველად წარმოდგენილი პროექტი საქართველოს სსრ კანონისა ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შემუშავებულია სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიებმა საკანონმდებლო განხრახულობათა კომისიებთან ერთად, საკავშირო პროფსაბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაწილეობით შეიმუშავეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

ამ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის გამოქვეყნებამ, მისმა განხილვამ მშრომელთა კოლექტივებში საზოგადოების ფართო გამოხმაურება გამოიწვია და ერთხელ კიდევ დაგვანახვა ჩვენი ყოფიერების ღრმა დემოკრატიზმი, მშრომელთა ნაწილის უდიდესი დაინტერესება სახელმწიფო საქმეთა გადაწყვეტით, საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური აქტივობისა და მართლმეგნების მაღალი დონე.

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების მიღებულ იქნა სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე.

ამხანაგო დეპუტატებო!

ჯანმრთელობის დაცვის ამოცანები ეფუძნება ადამიანის ინტერესებს, ადამიანის ინტერესებს ეფუძნება ჯანმრთელობის დაცვის ამოცანები. ეს ინტერესები ეფუძნება ადამიანის ინტერესებს, ადამიანის ინტერესებს ეფუძნება ჯანმრთელობის დაცვის ამოცანები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ზ. ა. კვაჭაძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ნება მიბოძეთ მოგახსენოთ იმ ბრძანებულებათა შესახებ, რომლებიც მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ წინა სესიის შემდეგ და საქართველოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად ისინი უნდა დამტკიცოს რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ.

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისტემის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საფუძველების 22-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 3 თებერვლის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ სისტემის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლში. ადრე მოქმედი რედაქციის შესაბამისად ამ მუხლის მესამე ნაწილით დამამძიმებელ გარემოებად ითვლებოდა ნარკოტიკულ ნივთიერებათა უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა ან გასაღება იმ პირის მიერ, რომელსაც ადრე სასჯელი ჰქონდა მოხდილი ასეთივე დანაშაულისათვის.

საგამომძიებლო და სასამართლო პრაქტიკამ დაგვანახვა, რომ თუ პირმა განმეორებით ჩიდინა ეს ნარკოტიკული ნივთიერებათა ან ფსიქოტროპული ნივთიერებათა ან ძლიერ მოქმედ ნივთიერებათა ან ნარკოტიკული ნივთიერებათა ანალოგების ან ფსიქოტროპული ნივთიერებათა ანალოგების ან ძლიერ მოქმედ ნივთიერებათა ანალოგების ან ნარკოტიკული ნივთიერებათა ან ფსიქოტროპული ნივთიერებათა ან ძლიერ მოქმედ ნივთიერებათა ნარევ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

კამათი „მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების საქმიანობა კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ მოხსენებისა და თანამოხსენების გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

— — —

უკანასკნელ წლებში გატარებული მთელი რიგი ღონისძიებების მიუხედავად, ქუთაისში არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს იმ დიდ მოთხოვნებს, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან.

სესიის უნდა მოვახსენო, რომ ქუთაისს არ გააჩნია თანამედროვე კინოფიცმების ჩვენებისთვის საჭირო ვიფილმოწყობილი კინოთეატრი. 1971 წელს დაიწყო ფარფოფორმატიანი კინოთეატრის მშენებლობა. რომლის მთელიანი ღირებულებაა 730 ათასი მანეთი. წელს მშენებლობაზე ლიმიტით გამოყოფილია მხოლოდ 20 ათასი მანეთი. საჭიროა 1972 წელს 200 ათასი და 1973 წელს — 400 ათასი. ხოლო 1974 წელს 130 ათასი მანეთის გამოყოფა ქალაქის მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, საბჭოს მუდმივი კომისიები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად ფართო საზოგადოებრივ დაყრნობით სერიოზულ საქმიანობას ეწევა საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის.

საბჭოს სესიებზე, საბჭოს აღმასკომის და მუდმივი კომისიების სხდომებზე, რეგულარულად იხილება საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის, სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

ჟუთასში მიკრორაიონების მიხედვით შექმნილი საუბნო კომიტეტები წარმოადგენენ ხელისუფლების ნამდვილ დასაყრდენს, მოსახლეობაში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის საფუძველს, ყველა საკითხს, ამომრჩევლებთან დეპუტატის შეხვედრა იქნება, თუ კეთილმოწყობის სამუშაოები, სპასაორტო რეიმის განმტკიცება თუ მუქთახორობასთან ბრძოლა, სწავლა ჩამოშორებული ბავშვის სკოლაში დაბრუნება თუ სანიტარული რეჟიმის დაცვა. წყდება საუბნო და სახლების კომიტეტებთან ერთად.

საქალაქო საბჭოს აღმაკომმა აღმინისტრაციის ორგანოებთან ერთად ღრმად შეისწავლა 1971 წელს ქალაქში მომხდარი დანაშაულებრივ ქმედებათა მდგომარეობა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

დეპუტატ
ო. ა. ბელოგოროდოვას
სიტყვა

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მთელ პრაქტიკულ საქმიანობას საფუძვლად უდვეს სკკპ XXIV ყრილობის მოთხოვნები კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში. პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობით, დეპუტატების უშუალო მონაწილეობით კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობა ითვალისწინებს ადგილობრივი პირობებისა და მშრომელთა მოთხოვნების მთელ მრავალფეროვნებას. დიდ აღმზრდელობით როლს ასრულებენ ისეთი ღონისძიებანი, როგორიცაა შემოქმედებითი საღამოები, კითხვა-პასუხის, შრომითი დიდების საღამოები, შეხვედრები წარმოების მოწინავეებთან, კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეებთან, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებთან.

ქალაქში მუშაობს მეტალურგთა კულტურის სასახლე, ქიმიკოსთა კულტურის სახლი, კლუბები, მრავალი წრე და სექცია, რომლებიც კეთილსაყოფიერ გავლენას ახდენენ სოციალისტური რუსთაველი მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რუსთაველ დრამატულ თეატრს, რომელმაც, მიუხედავად თავისი სიახალგაზრდავისა უკვე გაითქვა სახელი, როგორც დიდი ტრადიციების მქონე ჩამოყალიბებულმა კოლექტივმა. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შორს არის ცნობილი რუსთაველ ვოკალურ-ქორეოგრაფიული ანსამბლი „საღიჩინო“.

ამ ორგანიზაციების მთელი საქმიანობა მიზნად ისახავს, რომ მშრომელები რაც შეიძლება რაციონალურად და თავიანთვის და საზოგადოებისათვის მეტი სარგებლობით იყენებდნენ თავისუფალ დროს.

რუსთავში წლითიწლობით სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს ბავშვთა მუსიკალური ანსამბლები. გარდა საშუალო სკოლებთან და კულტურის სახლებთან მომუშავე მუსიკალურ ჯგუფებისა, ქალაქში არის ორი მუსიკალური სკოლა და ერთი სასწავლებელი.

როგორც ცნობილია, ახალგაზრდობის აღზრდაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტსაც. ამიტომ ახალგაზრდა ქალაქში ყოველი ღონისძიებით ესწრაფვიან ჩაბმას ახალგაზრდობა ფიზკულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის, რომლებიც ხელს უწყობენ ჰარმონიულად განვითარებული, სულიერად მხნე ახალგაზრდა ადამიანების აზრდას. რუსთავის მახლობლად მიმოინარეობს კულტურისა და დასვენების პარკის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ ქალაქის მოსახლეობა ადგილობრივ კეთილმოწყობილ დასვენების ზონას მიიღებს.

საქალაქო საბჭოსა და მისი მუდმივი კომისიების ყურადღების ცენტრში მუდამ არის მუშაობა სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და ამ დარღვევათა თავიდან აცილებისათვის. თვითეული მიკრორაიონში შექმნილია საზოგადოებრივობის საბჭოები, რომლებშიც მუშაობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სექტორები. დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს მოსახლეობის მონაწილეობა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობაში.

დეპუტატმა აღნიშნა, რომ ნაკლოვანებებია მოსახლეობის კულტურულ მოსსახურებაში რუსთავის მარჯვენა ნაპირის ტერიტორიაზე, სადაც ქალაქის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს. საჭიროა აღრეთვე ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქში ამენდის თანამედროვე საკონცერტო დარბაზი.

დეპუტატ
გ. კ. ნატროშვილის
სიტყვა

კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების საკითხი, რომელსაც ჩვენ ამ სესიაზე ვიხილავთ არა გამოცალკევებულად, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და განმტკიცების საქმესთან ერთად, საკმაოდ რთულ პრობლემებს აყენებს ჩვენს წინაშე. და ამ პრობლემების ყველაზე სწორი და ეფექტური გადაჭრის ჯაჭვა მართლაც მათი ასე, ერთ მთლიანობაში, ერთ კომპლექსად განხილვა. აქ ლაპარაკია ორნიერულ კოორდინაციაზე, შეერწყმაზე, ერთ კალაპოტში მოქცევაზე მთელი იმ მუშაობისა, რასაც ჩვენ სათანადო სამინისტროები, უწყებები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები და შემოქმედებითი ორგანიზაციები ეწევიან. უბრალოდ რომ ვთქვათ, აქ ერთი ჭაპანი უნდა გასწიოს მასწავლებელმაც და მილიციელმაც, ოლქკომსომოლმა და სანახაობათა მომწყობმაც, კლუბმაც და მილიციის სამაკვშო ოთახმაც, პროკურატურამაც, კომკავშრომა და თეატრმა თუ ტელევიზიამ. რა თქმა უნდა, ყველა ამ უწყების თავისი საქმე აქვს, თავისი სფერო, თავისი უბანი, მაგრამ თურმე ერთ წერტილში, ყველაზე მთავარში, ყველაზე არსებითში ყველა ისინი ერთიმეორეს ხვდებიან.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს ბუნების დაცვის მუდმივი კომისიის სხდომაზე ჩვენ განვიხილეთ ბრაკონიერი მოსწავლეების საქმეები. მოყვანილი იყო ფაქტები, რომ ცალკეული მოსწავლეები არა მარტო ზიანს აყენებენ ბუნებას, არამედ თოფის სროლაში გაუწაფვიელობის გამო, უნებურად სოცავენ ერთი-მეორესაც. ამაზე ჩვენს სხდომაზე ბევრი ლაპარაკი იყო, ეს პუნქტი დადგენილებაშიც შევიტანეთ, მერე პრესაც დავიხმარეთ, ჩვენი ყველაზე დიდი და მასობრივი ტრიბუნიდან — გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან მივმართეთ ნადირობის მოყვარულთ — ნუ აძლევთ თოფებს ბავშვებს, არ შეიძლება ეს, არ შეიძლება პატარას ხელთ ცეცხლმსროლელი იარაღი ეჭიროს და ტყეში ესროლოს ყველაფერს, რასაც კი მიწაზე, ხეზე თუ ჰაერში ცოცხალსა და მოძრავს დაინახავს.

ბავშვის ბუნება ისეთია, მას ერომანტიკაც გაძლევს ან შეუძლია. სულ ადრე იყო არსენა, — კეთილი და მამაცი ვაჟკაცი, რომელზედაც დიდმა ილია ჭავჭავაძემ თავის ყველაზე საყვარელ გმირს ათქმევინა: „მიყვარდა მე ის კეთილდღიანი და არსენობა მეტნატრებოდა“. რამდენი თაობა გაზარდა ამ ოცნებამ. ომის წინ იყო შესანიშნავი ფილმი ჩაპაევზე და ეს ომი მოიგეს იმ ადამიანებმა, ვინც ამ ფილმმა აღზარდა, ვისაც ენატრებოდა ჩაპაევი ყოფილიყო. მერე გამოჩნდნენ სამამული ომის გმირები. ჩვენ გვაქვს ორი თუ სამი კარგი ქართული ფილმი ომზე, რომელთაგან მსოფლიო ეკრანი მოიარეს, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, ძალზე ცოტაა; და ეს იმ დროს, როცა ქართული მწერლობა არც ისე ღარიბია, რომ არ აძლევდეს შესაფერ სიუჟეტებსა და თემებს ქართულ კინოს.

მაგრამ ომიდან ისევ ჩვენს დღეებში გადმოვიდეთ. ჩვენს დიდ დროს, კომუნიზმის მშენებლობის ეპოქას აქვს თავისი დიდი რომანტიკა, ბრის ათასი, ათი ათასი საქმე, სადაც საჭიროა თანხლობა, გაბედულება, თავის გამოჩენა და ხალილის მოხვეჭა, რაც ესოდენ დიდი ხტიმულია მოზარდი ადამიანებისათვის.

აქ პრესას დიდი როლი ეკისრება. ახალგაზრდა ადამიანი რომ თავს ისახელებს, ამას გავრცელება, პროპაგანდა სჭირდება და ეს ნამდვილი რომანტიზმი ეზას გადაუჭრის და გადაუჭრავს ყალბად გაგებულ რომანტიზმს, რომელსაც სისხლის სამართლის დანაშაულის სუნი ასდის და რომლის აუცილებელ აქსესუარებად გვევლინებიან თოფი, დანა, დინამიტების აფეთქება მდინარეზე და ტყის ხანძარი, თავის გასართობად რომ გააჩინეს ბავშვებმა.

თუ მშობლები მხარში არ ამოუდგნენ სკოლასა და კომკავშრის, შეიძლება ყოვლმა ღონისძიებამ ამაოდ ჩაიაროს. არ შეიძლება გაანებივრო შენი შვილი, აუსრულო ყოველი ჭირვეულობა; ასეთ პირობებში ბავშვი იზრდება თავგერძა. ეროსტი, ის არ უნდა მიაჩვიო იმ აზრს, რომ ყველაფერი იოლია ამ ქვეყანაზე, რომ ეს ცხოვრება გაშლილი სუფრაა.

აქ უნდა გამოიჩინოს თავისი ძალა ჩვენმა კულტურამ, ყოფამ, ახალმა მორალმა, აქ დიდი, უზარმაზარი და გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს ჩვენმა ლიტერატურამ. ჩვენმა ხელოვნებამ. ის როლი, რომელიც მას ისტორიულად აკისრია. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, პარტიის წინაშე, ჩვენი ისტორიისა და აწმყოს წინაშე... ამ საქმეზე უნდა დავრაზმოთ მთელი შემოქმედებითი ძალები, მთელი ჩვენი ძალ-ღონე.

დეპუტატ
ვ. ა. დურგარიანის
სიტყვა

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებათ მოსახლეობაში. პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის საერთო სისტემაში. მათ ხელი უნდა შეუწყონ მასების კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბებას, აამაღლონ მათი კულტურული და პოლიტიკური დონე.

პროპაგანდა, მასობრივი აგიტაცია, კულტურა და სწავლა-განათლება ბოგდანოვკის რაიონში ემსახურება ადამიანთა მარქსისტულ-ლენინური შეგნების ჩამოყალიბების კეთილშობილურ საქმეს. კომუნიზმის მშენებლობას. ადგილობრივი საბჭოები ამაღლებენ მოსახლეობაში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონეს. სპასო